სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/123

ქ. თბილისი 27 ივლისი 2023 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ მიხეილ ჯანიკაშვილის გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლით დაჯილდოების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 ივლისის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მიღწევებისთვის, ახალგაზრდების აღზრდაში გაწეული დიდი წვლილისთვის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის ორდენების კავალერი, სტუ-ის პროფესორი მიხეილ ჯანიკაშვილი დაჯილდოვდეს გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე : ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიურისაბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**